# სახალხო გაზეთი

№ 261 ხუთშაბათი, 22 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 261

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ჩამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაბან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში: ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებული.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

## 27 მარტს, 1911 წ.

ბირჟის სადგურში გაიმართება

## საცეკვაო საღამო კონცერტის

განყოფილებით

ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ. ბილეთი 1 მან., მოსწავლეთათვის 50 კაპ. დასაწყისი კონცერტისა $8^{1}/_{2}$ საათზე. (6—520—2)

## ნამესტნიკის სასახლის დარბაზში

კვირას, 27 მარტს 1911 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ შესდგება

## ქართული სასულიერო კონცერტი

სასულიერო სემინარიის ხორო ბ-ნ ი. კარგარეთელის დირიჟორობით შეასრულებს ქართულ საეკლესიო საგალობლებს კლენოვსკისას, იპოლიტოვ-ივანოვისას, ფალიაშვილისას, მონადირიშვილისას, კარგარეთლისას და კარბელაშვილისას. ბილეთები ისყიდება გ. ქ. კერერის მაღაზია „ლირა"-ში, გოლოვინის პროსპექ. № 8, სახლი სარაჯიშვილისა. კონცერტის დღეს სასახლის დარბაზში. დაწვრილებით აფიშებში. (11—1141—4)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ტიფლისის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—7)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჩიის თესლისა

## ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

## ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჩიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—12)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი** მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

**კარშინი** ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**მაღალაშვილი** გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე** ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი** ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი** ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

**მელიქიშვილი.** ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე** შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**ფირალოვი** რ. ს. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი** ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^{1}/_{2}$ ს.

**ხობოლევსკი** გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**ხულაკოვი** ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა ზომიერად. საფასურით. (წ.—1089—424)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გოლოვინის ქ., № 9. (ვ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სურამში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## გაფრთხილება

რადგანაც მიმსგავსებული პაპიროსები გამოსცეს

**მარსი,** 20 ცალი 5 კ. ძმ. სეილანოვების ფაბრიკა საზოგადოების ყურადღებას აქცევს იმაზე, რომ ნამდვილ პაპიროსებს

## „მ ა რ ს"

უნდა ეწეროს პაპიროსებს

## ძმ. სეილანოვები

(5—1144—4)

**დღეს, 22 მარტს, საღამოს 8 საათზე,** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში გაგრძელებული იქნება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად. (1—1146—1)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**დ. გრეიცი**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^{1}/_{2}$—3 საათ.

**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი**—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

**უკლადნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი** ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**სულაკოვი**—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

**რუდენკო**—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

**ვეხელოვთოზოროვი** ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**იოხელიბანიძე**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

**დ. ა. მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

**ყალამქაროვი**—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (100—5.—69)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—27

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—190—107

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ვოლოდინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ვ)

ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. ვაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**მ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^{1}/_{2}$—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხობოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (—1090—20)

ელექტრონისა და რენტგენის

## სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით გი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. N 20. (0—6.—77)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ქირალოვის სახლი, (50—15—48

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—20)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეის ქუჩების კუთხე N 24. 0—340

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ბაბაშვილისა. (ვ)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—67)

**ექიმი** ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკეების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰელქიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ გვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შესახვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზანისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—27)

## შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად (მყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—6)

## ქარ-ფანჯარა

ყველა ზომის ფიჭვის მასალისა ისყიდება ხელმისაწვდომ ფასებში. ავჭალის ქ., ახუნდოვის სახლი, სირაძესთან. (2—523—1)

**სტუდენტი**-ფილოლოგი

ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, მასწავლებლობაზე, „ვოლნოოპრედელიაიუშჩიბაზე" და საიუნკრო სასწავლებელში, აგრეთვე უსწორებს გაკვეთილებს ხელმისაწვდომ ფასებში. მისამართი; ვორონცოვის ქუჩა, ხარფუხის საავადმყოფო, კვიციანაძის ბინა. (5—2)

## ტფილისი, 2.. მარტი

**ქართულ სამეურნეო საზოგადოება.**

დღეს დანიშნულია ქართულ სამეურნეო საზოგადოების კრების გაგრძელება. კრებამ უნდა გამგეობა აირჩიოს მომავალი ამ საზოგადოებისა მთლად იმაზეა დამყარებული, თუ როგორს ინიციატივას და საქმის უნარს გამოიჩენენ ადგილობრივი მცხოვრებნი, მაგრამ პირველს ხანებში, საქმეების მოსაწესრიგებლად, უმთავრესი მნიშვნელობა თვით გამგეობას ექნება. გამგეობამ უნდა მოაწყოს პროპაგანდა ქართულ სამეურნეო საზოგადოების აზრისა, გამგეობამ უნდა შექმნას მტკიცე ორგანიზაცია და მიიზიდოს საქმისათვის გამოსადეგი პირნი, ამიტომ კრებამ განსაკუთრებულის სიფრთხილით უნდა შეავსოს კანდიდატები და ისეთი პირნი აირჩიოს გამგეობაში, რომელთაც შეეძლებათ ამ ძნელ საქმეს გაუძღვნენ. გამგეობის წევრად უნდა არჩეულ იქმნენ მეურნეობის კარგად მცოდნე პირნი, მაგრამ მარტო ისინი არა კმარა. როგორცა ვსთქვით, გამგეობას პირველს ხანებში, უპირველეს ყოვლისა საორგანიზაციო მუშაობა დასჭირდება. ამისათვის კი არა მეურნენიც შეიძლება გამოდგნენ.

ყველა ეს კრებამ უნდა გაითვალისწინოს, შესაფერისი კანდიდატები აირჩიოს და ამით საძირკველი ჩაუყაროს ახალ კულტურულ დაწესებულებას, რომელსაც, რა თქმა უნდა, დიდი მომავალი აქვს...

ჩვენ კი გულ-წრფელად ვუსურვებთ ნორჩ საზოგადოებას წარმატებას და წინმსვლელობას მშობელ ერის საკეთილდღეოდ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„უტრო როსიი" სტოლიპინის საქციელს კვლავ ეხება. სტოლიპინის პოლიტიკის უკანონობა არამც თუ სათათბიროთ აღიარა ერთხმად, არამედ თვით პურიშკევიჩმაც კი ხმა აღიმაღლა და „თავის მოვალეობად" მიიჩნია თავის მხრივ სტოლიპინისათვის გულისწყრომა გამოეცხადებინა,—ამბობს გაზეთი და განაგრძობს:

„ქვანიც კი ცოცხლდებიან და ადამიანურის ენით იწყებენ ლაპარაკს.

საკონსტიტუციო ქვეყნებში ამისთანა შემთხვევა მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებად ჩაითვლებოდა და უმოწყალოდ მთავრობა დაუყოვნებლივ გადადგებოდა.

ჩვენში კი ასეთ შემთხვევის დროს პრემიერის პიროვნებაში გაერთიანებული კაბინეტი სათათბიროს მტრულ ხმის მიცემას ანგარიშს არ უწევს. იგი პასუხისმგებელი არაა ხალხის არჩეულთა წინაშე.

იმ სათათბიროსთან ერთად მუშაობა, რომელიც მთავრობის ყოველს კანონ-პროექტს უარ-ჰყოფს, აზრი არა აქვს. ასეთი მუშაობა უნაყოფოა. კითხვა იბადება: ან შენ ან—მე? სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: მესამე სათათბიროც დავითხოვოთ, თუ თვითონ გადავდგეთ?

დეპუტატმა შულგინმა მეორემ სიტყვა სტოლიპინზე: „მის კისერზეა" პირველ და მეორე სათათბიროს დათხოვნა, 3 ივნისისა და 9 ნოემბრის კანონები, უმაღლეს სასწავლებელთა არეულობა. საეჭვოა რომ მესამე სათათბიროს დათხოვნამაც მშვიდობიანად შესძლოს.

შულგინის პირით თვით ჭეშმარიტება ლაპარაკობს. მთავრობის გეგმაში სათათბიროს დათხოვნა არ შედიოდა. პირიქით—მთავრობა იძულებულია ამ შემთხვევაში სათათბიროს გაუფრთხილდეს, რადგანაც ყველა საოპოზიციო პარტიებს, რომელთაც, როგორც სჩანს, ოქტომბრისტებიც მიემხრნენ, დიდად ეხარბებათ სათათბიროს დათხოვნა მთავრობისა და სათათბიროს შორის მე-87 მუხლის გამო მომხდარ უთანხმოების ნიადაგზე.

ეჭვი არაა, ასეთ პირობებში სათათბიროს დათხოვნა ოპოზიციას ხელსაყრელ ლოზუნგს მისცემს მეოთხე სათათბიროში უფრო ცხადი ოპოზიციური შემადგენლობა გაიყვანოს. თუ დღეს მთავრობა სათათბიროს დათხოვნას გაჰბედავს მესამე სათათბიროს სცილიდან უფრო მრისხანე მეოთხე სათათბიროს ხარიბდაში ამოჰყოფს თავს.

სტოლიპინი „ძლიერის ნებათმყოფლობის" ადამიანია, მან ესაა ეხლა იგემა გამარჯვების სიტკბოება, რომელმაც უმაღლეს იერარქიულ სიმაღლეზე აიყვანა. ამ გამარჯვებით გაბრუებულს ადვილად შეუძლია თავისი პირველი მარტის გამოსვლა გაიხსენოს „რევოლუციურ" მეორე სათათბიროს წინაშე, სადაც ამაყად განაცხადა, „სათათბიროში მონარქის ბრძანებით არ არიან არც მსაჯულნი, არც ბრალდებულნი, და მინისტრთა ლოჟისკენ ხელის გაშვერით დაუმატა: „ეს სკამები ბრალდებულთა ადგილი კი არა—მთავრობის ადგილიაო!"

თუ ჩვენს „ძლიერ ნებაამყოფლობისა" და ფარგალდაუდებელ უფლებით აღჭურვილ გვამის ალექსანდრესავით (მაკედონელი) ერთი დაკვრით გაჰკვეთოს 17 ოქტომბრის შავბედით მიცემათა მიერ

განლართული კვანძი. ეს გმირული გულისთქმა თავის კარგ მხარესაც გამოიჩენს: თუმცა იგი ექვსის წლის წინ ოქტომბრამდე არსებულ ხანაში დაგვაბრუნებს, მაგრამ ქვეყანას ბოლოს და ბოლოს გამოიყვანს იქვთა ბურუსიდან და თავმოსატყუებელ ჩვენებათა სამეფოდან."

# ქართული პრესა

საკითხი ქალაქის საარჩევნო უბნებათა გამრავლების შესახებ ისე მიიჩქმალა, რომ იგი ხეირიანად არც კი შეფასებულა და განხილულა ადგილობრივ პრესაში. ტფილისის საბჭომ უარჰყო წინადადება საარჩევნო უბნების გამრავლების შესახებ. ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ანგარიში ერთი სხდომისა, სადაც გამოირკვა ორი მიმდინარეობა, რომელთა გამომხატველადაც უნდა ჩაითვალოს ხატისოვი და გუბერნატორი. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რა მოსაზრებითაცა სურდა გუბერნატორს საარჩევნო უბნების გამრავლება, მაგრამ მაინც სასარგებლოდ დავინახეთ ქალაქის მრავალ უბნებად დაყოფა. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიყვანეთ გაზეთ „ახალი საქმის" აზრი ამავე საგანზე. ეხლა გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს „თემი"-ს აზრს.

„სხდომაზე ისეთი საბუთები იყო მოყვანილი წინადადების წინააღმდეგ,— სწერს „თემი",—რომ ნათლად გამოიხატა შეძლებული ნაწილის და მის იდეოლოგების მისწრაფება. თუმცა დასაბუთებას თითქო ლიბერალური ელფერი ჰქონდა მიცემული ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან, მაგრამ ყველა მათ მოსაზრებაში გამოსჭვივოდა ერთად-ერთი მთავარი აზრი. მათ ეშინოდათ ადგილების და გავლენის დაკარგვისა".

გაზეთის აზრით, კიდევ ორს გარემოებას დაუშინებია ტფილისის ხმოსნები.

„ტფილისის საბჭოს ბურჟუა-ხმოსნებმა წინადადების წინააღმდეგ უმთავრესად ის მოიყვანეს, რომ ინტელიგენტი-ხმოსნების რიცხვი, თუ ახალი წესით მოხდება არჩევნები, ძალიან შემცირდებაო.

ამ აზრის გამოთქმა საკმაო იყო, რომ ხმოსნების უმრავლესობა შიშს აეტანა.

წინადადების დამარცხებას აგრეთვე იმან შეუწყო ხელი, რომ იგი ადმინისტრაციისაგან იყო წარმოდგენილი. ეს უტეხდა სახელს და აკი ერთმაც წარმოსთქვა, რომ „დანაელები" საშიში არიან მაშინაც კი, როცა იმათ მოაქვსთ საჩუქარიო. მეორე ხმოსანმა ხომ პირდაპირ ახსნა გულის-წადილი საგუბერნიო ადმინისტრაციისა, მათ სურთ ფარულად ეროვნული კურიები შემოგვაპარონო. ამ უკანასკნელმა აზრმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ხმოსნებზე, რომ ტაშის კვრითაც მიეგებნენ".

გაზეთს ეს შიში სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია, რადგანაც საკითხი ქალაქის საარჩევნო უბნების გამრავლების შესახებ ისევ საბჭოს უნდა განეხილა, და მაშასადამე, ადვილად შეეძლო არა სასურველი მხარეები უბნების გამრავლებისა თავიდან აეცილათო.

* *

ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი რედაქციის მიმართ ბ-ნ დიდუბელისა. დიდუბელი სჩიოდა, უძველეს ქართულ დიდუბის ეკლესიაში წირვა-ლოცვა სლავიანურს ენაზე სწარმოებსო. ამავე საგანს ეხება ბ-ნი ბ. ხ—ძე გაზეთ „თემში". ბ-ნი ბ. ხ—ძე ბევრს ისეთს საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს, რომ მთლიანად მოგვყავს წერილი.

ამას წინად შემთხვევით მოვხვდი დიდუბეში ერთ ქართველ ოჯახში,— სწერს ბ-ნი ბ. ხ—ძე,—კარგა ხანს არ ვყოფილიყავი იქ. ჩვეულებრივის გულგაშლილობით მიმიღეს. მხოლოდ, როდესაც ბაასში გავერთეთ, მასპინძელმა დიდის საყვედურით მომმართა: „თქვენ, როგორც გაზეთში თანამშრომელს, გგონიათ ყველაფერს თვალყურს ადევნებთ, ბევრი რამ კი, გეპარებათ. აი ახლაც, იცით რა ამბავი ხდება დიდუბეში? რა გვაღელვებს, რა გვაინტერესებს? საყურადღებო ბევრია, აი თუნდა აიღეთ ჩვენი დიდუბელი ტაძარი—დიდუბის ეკლესია. რას უპირებენ იცით? თქვენ რა გენაღვლებათ ინტელიგენტებს. თქვენ ადვილად შეგიძლიათ იცხოვროთ უეკლესიოდ, ჩვენ კი, ვისაც სარწმუნოება გვწამს უიმისოდ ვერ გავძლებთ".

დავეკითხე, რა მოხდა-თქო და მან დაწვრილებით შემდეგი მიამბო.

თურმე ეს რამდენიმე წელია, რაც დიდუბეში გამწესებულმა მღვდლებმა ნელ-ნელა მღვდელ-მსახურება სლოვენურად დაიწყეს, რომ მეტი შემოსავალი გაეჩინათ. ხანდისხან, თურმე, მხოლოდ ქართულად სწირავდნენ. ახლა კი მარტო რამდენსამე ასამაღლებელს ამბობენ; დანარჩენი წირვა და საზოგადოდ მღვდელ-მსახურება სლოვენურად სწარმოებს. მგალობელთა გუნდიც სლოვენურად გალობს. ამნაირად თანდათან პოლიტიკან მღვდლების წყალობით ქართველებს ხელიდან გამოეცალათ ეს დიდებული ტაძარი, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. მოგეხსენებათ გარდმოცემით მეფე თამარს აქ უქორწილნია. ამ ჟამად ახლომახლო მცხოვრებ ზოგიერთ რუსებს აღუძრავთ შუამდგომლობა, რომ დიდუბის ეკლესიაში სამუდამოდ სლოვენური წირვა-ლოცვა შემოიღონ და ქართული მოსპონ. მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ დიდუბის ეკლესია, რომელსაც თავის მრევლი არ ჰყავდა აქამდინ (ჩუღურეთის ეკლესიაზე იყო მიწერილი), გამოეცხადათ სამრევლო ეკლესიად და გამოეკვლიათ, რომელი ტომის ხალხი ბინადრობს დიდუბეში და სჭარბობს სხვას. სათანადო მოხელეებს ისე წაუყვანიათ გამოკვლევა, რომ რუსები მეტი აღმოჩენილა, ვიდრე ქართველები. იმის მაგიერ, რომ მარტო მკვიდრი ბინადარი მცხოვრებელი მიეღოთ სახეში, იმათ რკინის გზაში რუსის მოსამსახურეები მიუთვლიათ, ასე რომ რუსები ქართველებზე მეტი გამოსულან ამ აღწერით. ამის გამოისობით სასულიერო მთავრობა აპირებს თურმე, დიდუბის ეკლესიის რუსულ ეკლესიად გამოცხადებას. ქართველები დაფაცურებულან, შეუდგენიათ არზა, რომელზედაც 300 მეტს კაცს ხელი უწერია და მიურთმევიათ სადაც ჯერ არს. აურჩევიათ აგრეთვე ცალკე დეპუტაცია, რომელიც ამ დღეებში წარუდგა თურმე ეგზარხოსს. საქართველოს ეკლესიის მღვდელ-მთავარს უთქვამს, რომ განსახილველად გადავცემ სინოდალურ კანტორასო. უნდა ვიფიქროთ, რომ კანტორა წესიერად გამოიკვლევს ამ საქმეს, მიიღებს მხედველობაში, რომ ქართველებს ამ რაიონში არც ერთი ეკლესია აქვთ. რუსული ეკლესიები ხუთზე მეტია და აღადგენს ქართულ წირვა-ლოცვას ამ ისტორიულს განთქმულს ტაძარში. ეს უსათუოდ ასე უნდა მოხდეს, რადგანაც არ არის საკადრისი სალოცავ ადგილის საშუღლო საგნად გადაქცევა. დიდების ეკლესიის საქმე ერთნაირად აღელვებს მორწმუნესა და ურწმუნოსაც.

ყველა, რასაკვირველია, იქაურ მღვდლებს ამტყუნებს. ნება-უნებლიედ გვაგონდება განსვენებული დეკანოზი დავით ღამბაშიძე, რომელიც მედგრად წინ აღუდგა ყვირილის ეკლესიის ამ გვარ „გარდაქმნას". საჭიროა ამ საკითხს ყურადღება მიაქციოს ავად-აზნაურობამ და მეტადრე ჩვენმა პრესამ"

ჩვენ წინ კვლავ იშლება სურათი პოლიტიკანობისა. თუ არ პოლიტიკანობას, მაშ სხვა რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ტფილისის ერთს უდიდეს ნაწილის ქართველებს ერთად ერთს სამლოცველოს ხელიდან აცლიან?

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი გოლიცინსკი თავმჯდომარეობს. გოდნევის მოხსენებით 1911 წ. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალის პროექტს ღებულობენ, რომელიც 2,720,108,827 მანეთს უდრის, შემოსავალი გასავალს 47,586,371 მანეთს აღემატება. ეს ზედმეტი თანხა 1884 წ. სახელმწიფო ოქროს რენტის გამოსასყიდად, 5 სარგებლიან მოსკოვ-იაროსლავის რკინის გზისა და სხვა სესხთა გასანაღდებლად გადაიდება.

უკამათოდ ღებულობენ აღმოსავლეთ ამურის რკინის გზის საამშენებლო ღირებულების კანონ-პროექტს, რომლისთვისაც 1911 წელს 4,500,000 მან. გადასდებენ.

მეორედ წაკითხვის დროს მიღებულის რედაქციით ღებულობენ დამნაშავეთა გაცემის და 11 სხვა კანონ-პროექტს.

მესამე წაკითხვის რედაქციით ღებულობენ სოფლის მცხოვრებლებისათვის მზრუნველობის (აპეკის) დამწესებას ლოთებზე ან ფლანგველ პირებზე, რომელთაც გალატაკება მოელით იმ შესწორებით, რომ მზრუნველი ენიშნებოდეს სოფლელს არამც თუ ქალაქ გარეშე, არამედ სოფლის ფარგლებში მოსახლეთაც.

მემკვიდრეობის უფლებაში ქალ-ვაჟთა გამათანასწორებელ კანონ-პროექტის განხილვას იწყებენ.

კრომბოლოვი შრომის ჯგუფი მუდამ ესარჩლება ქალ-ვაჟთა უფლებრივ გათანასწორებას და მომხრეა ყველა მოქალაქეთა უფლებრივ თანასწორობისა; ეს კანონ-პროექტი უნდა ეხებოდეს, როგორც თავადაზნაურებს ისე მოქალაქეთ.

კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას იწყებენ. კამათს იწვევს ის მუხლი, რომელიც საგვარეულო ქონების ანდერძი საერთო საფუძვლის მიხედვით სწარმოებს.

იუსტიციის მინისტრის ამხანაგი გასმანი. დასავლეთ-ევროპის კანონმდებლობამ საგვარეულოს მაგიერ, საფუძვლად ოჯახური სარჩული დაუდვა, სამოქალაქო დებულებანიც ოჯახის ყველა წევრებს სავალდებულო ნაწილს აძლევს; თუ რეფორმას მოვახდენთ, ოჯახის ყოველ წევრის სავალდებულო წილადობა უნდა უზრუნველ-ვყოთ. ორატორი გადაჭრით წინააღმდეგია ამ მუხლის მიღებისა, რადგანაც ამ მუხლის დაკანონება სასამართლო საქმეში არევ-დარევას შეიტანს, ამისათვის ამ საკითხის გადაწყვეტა კომისიას გადავცეთო.

მომხსენებელი ჩურნიცკი ამ მუხლის კომისიაში გადაცემას აზრი არ ექნება. ორატორი ამ მუხლის მიღებას თხოულობს.

იუსტიციის მინისტრის ამხანაგი გასმანი კვლავ ხაზ-გასმით აღნიშნავს, რომ კანონ-პროექტის საძირკველია —ორთავე სქესს არა თანაბარი მემკვიდრეობის წილი ჰქონდეს; სათათბიროს პროექტი კი ამ ფარგლს სცილდება და სგვარეულო ქონებაზე გადადის, რაც შეუწყნარებელია.

გერასიმოვი. საგვარეულო ქონებათა ინსტიტუტი იმდენად დრომოჭმულია, ისე დამღუპველად მოქმედობს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე, რომ დაუყონებლივ უნდა გაუქმდეს. საგვარეულოს სათავე პირწმინდათ პოლიტიკურ მიზეზთა გამო არის წარმოშობილი, თავის საძირკვლად პირადი სარჩული ედო.

ბაჩხანი მეიენდორფი. 17 ოქტომბრისტთა სახელით ამ მუხლის გამორიცხვის მოსაზრებას ასაბუთებს. დასავლეთის კანონმდებლობა მედგრად გადადის სავალდებულო ნაწილობაზე. ოქტომბრისტები ამ მუხლის წინააღმდეგ მისცემენ ხმას, რადგანაც სავალდებულო წლის მიღების უფლება სამოქალაქო კანონმდებლობის სრულიად დამოუკიდებელი სანგია.

ეს მუხლი უარჰყვეს. სხვა მუხლებს უკამათოდ ღებულობენ.

გარეშეთა დაუსწრებლად საარტილერიო მასალის შესავსებლად და სახელმწიფო დაცვისათვის 1911 საჭირო თანხის კანონ-პროექტს ღებულობენ.

მომავალ კვირაში დანიშნულია დღის სხდომა ორშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, საღამოს— სამშაბათს და ოთხშაბათს.

# ახალი ამბები

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ შაბათს, 19 მარტს, მორიგი კრება ჰქონდა **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ გამგეობას, რომელმაც უმთავრესად მსჯელობა იქონია საზოგადოების მოქმედების ანგარიშების დაბეჭდვისა და საზოგადოების წევრთა წლიურ საერთო კრების მოწვევის თაობაზე, პირველ საგნის შესახებ დაადგინა, ახლავ შეუდგეს საზოგადოების 1909 და 1910 წ.წ. მოქმედების ანგარიშის დაბეჭდვას. რაც შეეხება საზოგადოების წევრთა წლიურ კრების მოწვევას, კრებამ დაადგინა, გადასდოს ის აღდგომამდე.

✦ **ვერის დალმართზე მომხდარ უბედურების საქმის გარჩევა** ოლქის სასამართლომ უკვე დაასრულა და გუშინ თავის განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც მიესაჯა: ტრამვაის დირექტორად ნამყოფს ბატაილს ოთხის თვით, ხოლო ტრამვაის საექსპლოატაციო ნაწილის გამგეს ალექსანდერს 6 თვით ციხეში დაპატიმრება. ტრამვაის ტეხნიკურ ნაწილის გამგე იზამბერი უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა. სასამართლომ ამასთავნავე დაადგინა, ტრამვაის საზოგადოებამ დააკმაყოფილოს ტრამვაის ვატმანის სამოქალაქო სარჩელი (4,500 მან.)

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული** უკვე ჩამოვიდა ტფილისში და გუშინდილიდან თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ ახლო მომავალში **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება** თავის არსებობის 30 წლის იუბილეის იდღესასწაულებს. ამის გამო საზოგადოების გამგეობამ სომხის ცნობილ მწერალს ლეოს დაავალა, შეადგინოს ამ საზოგადოების ისტორია.

✦ შაბათს, 14 მარტს, საგანგებო კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს **საუნივერსიტეტო კომისიას**. კომისიამ მიიღო მხედველობაში, რომ აღდგომის წინად პეტერბურგში მიწვეულ იქნება საუწყებათაშორისო თათბირი ახალ უნივერსიტეტების გახსნის შესახებ და დაადგინა: შეაგროვოს მთელი მასალა კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ და ამ ჟამად პეტერბურგში მყოფს ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს გაუგზავნოს, ამასთანავე სთხოვოს მას, მონაწილეობა მიიღოს თათბირში. თუ ა. ი. ხატისოვი მანამდე ტფილისში დაბრუნდება, მაშინ გაგზავნილ იქმნას პეტერბურგში საუნივერსიტეტო კომისიის თავჯდომარე გ. მ. თუმანოვი.

✦ 20 მარტს, შუადღისას, თავის ბინაზე, მალაკანთა ქუჩაზე (სახლი № 52) **რევოლვერის ტყვიით თავი მოიკლა** ქალაქ გორის აზნაურმა ნეოფიტე კონსტანტინეს ძე გამრეკელმა. ტყვია მოჰხვედრია თავში, მარჯვენა ყურის ზემოდ და კეფაში გასულა. განსვენებულმა წერილი დასტოვა დედის სახელზე, ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთო.

✦ ქალაქის საბჭოს **საუნივერსიტეტო კომისიამ** დაადგინა, 14 აპრილს ტფილისში მოიწვიოს საერთო კრება ყველა იმ პირებისა, რომელთაც კავკასიის უნივერსიტეტს შემწეობა აღუთქვეს, ან კიდევ თანაუგრძნობენ ამ საქმეს.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა სურვილი გამოსთქვა, რომ **ქართული სასულიერო კონცერტი** ია კარგარეთელის ლოტბარობით მის სასახლეში გაიმართოს.

✦ **მოსკოვიდან გვწერენ:** 11 მარტს გარდახდილ იქმნა ქართულ სიმღერების ცნობილ მკვლევარის დიმიტრი ეგნატეს ძის არაყიშვილის ათის წლის მოღვაწეობის დღესასწაული. სინოდალურ სასწავლებლის დარბაზში, სადაც დღესასწაული იქმნა გადახდილი, 400 კაცზე მეტმა მოიყარა თავი. პირველად შ. ქარუმიძემ წაიკითხა შესაფერი რეფერატი და შემდეგ გაიმართა კონცერტი ორ განყოფილებად. პირველ განყოფილების შემდეგ იუბილიარს სიტყვები უთხრეს და ადრესები მიართვეს. მიართვეს აგრეთვე

# ცოტა რამ ხელოვნებაზე

ხელოვნებამ თავის ზრდა-განვითარებაში მრავალი საფეხური განვლო, და განვლილ გზაზე მანათობელ ვარსკვლავებივით ბრწყინავენ სახელები დიდებულ პირებისა: რემბრანდტი, პრაქსიტელი, რაფაელი, მიქელ ანჯელო, ლეონარდო-და-ვინჩი და სხ.; კაცობრიობას აქვს უდიდესნი შემოქმედებანი: მილოსის ვენერა, სიქსტინის მადონა, მოსე წინასწარმეტყველი, საიდუმლო სერობა და სხვანი, ეს უდიდესნი ნაწარმოებნი ადამიანის შემოქმედებისა, განხორციელებანი უმაღლეს ცნებათა და იდეათა, შექმნილნი უდიდეს ადამიანთა მიერ, რომელთაც ღრმად ესმოდათ კანონები ჰარმონიისა, სილამაზისა და იდეალურ სიმართლისა.

საზოგადოდ ხელოვნება ხუთ უმთავრეს დარგად განიყოფება: 1) ხუროთ-მოძღვრება—ხელოვნება სხვა და სხვა შენობათა აგებისა, 2) ქანდაკება, 3) მხატვრობა—ხელოვნება სხვა და სხვა სალებავთა შეწყობილ შეერთებით ადამიანის, საგნებისა და მოვლენების გამოსახვისა, 4) სიტყვიერება, უდიდესი ნაწილი საზოგადოდ ხელოვნებისა; სიტყვის შემწეობით ადამიანი გამოხატავს თავის სულიერ განცდათა, აღწერს საგნებსა და მოვლენებს, ავრცელებს ცოდნასა და სულიერ კავშირს აგებს თავის მზგავს არსებებთან. ინგლისელი მწერალი კიტსი ასე ახასიათებს სიტყვიერების ერთ ნაწილს პოეზიას: იგი დაუშრეტელი ზღვაა სინათლისა, იგი უმაღლესი საჩუქარია, უმაღლესი ძალა... სიტყვიერების მნიშვნელობის შესახებ მთელი თხზულებების დაწერა შეიძლებოდა, მაგრამ რადგან მისი განხილვა ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს, ჩვენ ამ მოკლე დახასიათებით დავკმაყოფილდებით; და 5) მუსიკა—განსაკუთრებითი ენა ადამიანის სულიერ ცხოვრებისა, მუსიკალურ ხმათა სამეფო, რომელიც ადამიანის სულის სიმშვიდეს, თუ მის რყევას გამოსთქვამს; მუსიკალური ხმა—ეს განუწყვეტელი რიგია ერთნაირის სისწრაფით ჰაერის შენძრევისა; პროგრესიულ სისწრაფით გამოწვეულ ჰაერის შენძრევათაგან გამომდინარეობს ის სიმშვენიერე რითმისა, რომელიც ჩვენს სმენას ჰხიბლავს მელოდიასა და ჰარმონიაში. პროგრესიულ სისწრაფით ჰაერის შენძრევა იწვევს წმინდა მათემატიკურ განწყობილებას მუსიკალურ ხმათა; იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მათემატიკური პროპორცია დარღვეულია, ჩვენი სმენა განიცდის კაკაფონიას; ერთი სიტყვით, მუსიკა ადამიანის პსიხიურ ცხოვრების ბარომეტრია. იმასში ნათლად გამოსჭვივის ადამიანის სულის მდგომარეობა, იგი გადმოგვცემს სულის როგორც უსაზღვრო ზეაღტყინებას, ისე სასოწარკვეთას; მუსიკაში ადამიანი გადალახავს სივრცისა და დროის საზღვრებს და, ნაცვლად ყოველდღიურ ჭირ-ვარამისა, მარადისობისა და სულის უკვდავების გრძნობა იცავს მის არსებას. ზოგიერთნი მეცნიერნი თუ მთელ ხელოვნებასა არა, მის ზოგიერთ დარგებს გაჰქრობას უწინასწარმეტყველებენ, რადგან, მათის აზრით, შეიცვალენ ის პირობები, რომელთ დროსაც ხელოვნება ჰყვაოდა; ამ მხრივ უმეტეს შემთხვევაში ქანდაკებას, მხატვრობასა და მუსიკას ეხებიან; მაგრამ თუ დღევანდელი ქანდაკება უძლურია აღგვიდგინოს ვენერები და ჰერმესები, დღეს ადამიანის შემოქმედებას ძალუძს მარმარილოსა თუ ლითონზე აღბეჭდოს ის ფიქრები და გრძნობანი, რომელნიც უცხონი იყვნენ საბერძნეთის დიდებულ მოქანდაკეთათვის; ამისათვის საჭიროა მხატვარი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, იყოს აღჭურვილი მეცნიერებისა და თავის ეპოქის ზედმიწევნის ცოდნით; დიდებული ლეონარდო და ვინჩი და მასზე არა ნაკლებად დიდებული მიქელ ანჯელო იყვნენ არა მარტო უდიდესნი მხატვარნი, არამედ მეცნიერებისა და თვისი ეპოქის ღრმად მცოდნენი, ამასთან ერთად მათ ქნარს აჟღერებდა მშობელი ერის დაწყლულებული იარები, რომელნიც მათ თვის პსიხიკაში გადაეხარშათ და შეესისხლხორცებინათ.

სხვა და სხვა ფერადი სალებავნი და მრავალი საშუალებანი, რომელნიც დღეს მხატვრის ხელთ არის, შეძლებას აძლევენ მას ფორმის ტეხნიკურ გაუმჯობესობისა და მხატვრული ნაწარმოების გაფართოვებაზე-გაღრმავებისას. რაც შეეხება მუსიკას, შოპენმა, შუმანმა, ბერლიოზმა და სხ. მუსიკალურ ხმებში ჩააქსოვეს და ჩააწვნეს ის გრძნობანი და განცდანი, რომელნიც ჩვენი დროის დამახასიათებელნი არიან.

არიან კიდევ ისეთები, რომელნიც ხელოვნების დაცემას დემოკრატიის განვითარებაში ხედავენ; მათის აზრით პოლიტიკურად და ეკონომიურად ადამიანთა გათანასწორება გამოიწვევს ხელოვნების დაქვეითებასა და მოსპობას, რადგან ხალხის მასსა მოკლებულია ესთეტიურ ნიჭიერებას, მაგრამ ჯერ ერთი, რომ დემოკრატიის განვითარებასთან ერთად ადამიანის პიროვნებას, მის ინიციატივას მოქმედების ფართო სარბიელი ეშლება და მასთან ერთად მის შემოქმედებითი ნიჭს ფრთების გაშლისა და აყვავების შეძლება ეძლევა, მეორეთ კი, სინამდვილესთან ძლიერ დაშორებულია ის აზრი, ვითომც ხალხის მასა ესთეტიურ ნიჭს მოკლებული იყოს; ვისაც ხალხში უცხოვრია, არ შეუძლია არ იგრძნოს მთელი სიყალბე ამ აზრისა; ჩვენ, ქართველები, როგორც ყოველ ერს, უფლება გვაქვს ამ ყალბი აზრის წინააღმდეგ გალაშქრებისა, რადგან თვითეული ჩვენთაგანი, უეჭველია, მოწმე იქნებოდა იმ მრავალფეროვან სიმღერებისა და დროს ტარებისა, რომელსაც შრომით წელში მოხრილი ჩვენებური გლეხი ეძლევა დღესასწაულუქმეებზე; თუ შრომის შვილნი ბეთხოვენის მუსიკას და ან რომელიმე დიდებულ მხატრულ ნაწარმოებს ვერ დააფასებს, ეგ კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი მოკლებული იყოს ესთეტიურ ნიჭს. ადამიანის ფსიხიკაში ღრმად არის ჩასახული ესთეტიური ნიჭიერება, რომელიც მემკვიდრეობით გადადის სხვა ნიჭიერებათთან ერთად შემდეგ თაობაზე, ადამიანი აღფრთოვანებაში მოდის მშვენიერების ხილვით, იგი უმაღლეს სიამოვნებას განიცდის, როდესაც ისმენს მუსიკას, ან ათვალიერებს ულამაზეს სურათს. ინგლისელ მეცნიერის დალტონის გამოკვლევით, რომელიც პსიხიურ ნიჭიერებათა მემკვიდრეობით გადაცემის დამტკიცებისაკენ იყო მიმართული, ცნობილ კომპოზიტორის ბახის გვარეულობაში 60 კაცი აღმოჩნდა, რომელნიც უმაღლესი მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოვებულნი. მას შემდეგ, რაც ადამიანმა ოდნავად მაინც უზრუნველჰყო თვისი მდგომარეობა, მისი მხედველობა ეძებს სილამაზეს, იგი განცვიფრებაშია მოსული სალებავების ხილვით, უკეთებს საყურეებს, სხეულს აფერადებს ათასნაირ სურათებით და ამკობს მრავალი სამკაულებით. როდესაც პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებას უკვირდებით, არ შეგვიძლია შემდეგი მოვლენა არ შევამჩნიოთ: პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში ნათლად სჩანს მისწრაფება სილამაზისა და მშვენიერებისადმი, თუმცა, რასაკვირველია, თავისებური, იგი თვის ქუჩყიან თმას ამკობს ძვლებით, ლოკოკინებით და სხ.

ყოველ არსებას, საგანს თუ ნივთს აქვს თვისი სპეციფიკური ხასიათი, თვისი განსაკუთრებითი—გარკვეულობა, შემჩნევა და გამოსახვა არსებათა ნიშადობლივ თვისებათა, შეთვისება და განსახიერება მათი განსაკუთრებითი ხასიათისა, არის არსებითი მხარე ხელოვნებისა. მოვიყვანოთ მაგალითი, წარმოვიდგინოთ: ორი ადამიანი ერთს მეტად საინ-

სარუქრები. დეპუტაციები იყვნენ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებიდან. სამწუხაროდ თვით კონცერტმა უფერულად ჩაიარა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო კნეინა ე. ა. ვახვახიშვილისას, **გორში წარმოდგენა გამართოს** ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

✦ 25 მარტს კრება ექნება ქალაქის საბჭოს **ბალნეოლოგიურ კომისიას**, რომელმაც უნდა განიხილოს ინგლისელ კაპიტალისტების რწმუნებულ ს. ზ. მირზოევის წინადადება ამ საღგურის მოწყობის შესახებ.

✦ სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ვოლოგდის გუბერნიაში სამი წლით იგზავნებიან პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ.-ფილ კარპეზ დონდუა და მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. ს. ქეიშვილი; ტოლმაჩევის განკარგულებით ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტს პავლე დადვაძეს აეკრძალა ოდესის სამთავარმართებლო საზღვრებში ცხოვრება.

✦ ქ. შ. წ. კ. გამარცელებელ საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს განყ. წევრთ, გადასცენ 1910 წლის საწევრო გარდასახადი გამგეობის ხაზინადარს ვანო პაატაშვილს 31 მარტამდე, რადგანაც ეს აბრკოლებს გასულ წლის ანგარიშის შედგენას და წარდგენის მთავარ გამგეობაში.

✦ თელავიდან გვწერენ: ქალაქის ხმოსნებად სომხების არჩევის და ქართველების გაშავების შემდეგ, სომხის ინტელიგენცია და ზოგიერთი არჩეული ხმოსანი ვითომ და შეშფოთებულნი ფიქრობდნენ არჩევნების განსაჩივრებას, რათა ახალი მოეხდინათ და მაშინ ქართველებიც ამოერჩიათ. როგორც ეხლა გამოირკვა, არჩევნები არავის განუსაჩივრებია.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 19 მარტს საწამლავი დალია დარია ტროფიმეს ასულმა შაკოვის ქალმა. სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. 20 მარტს საწამლავი დალია ეფროსინე ივანეს ასულმა რომანოვმა. იგი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. მისი მორჩენის იმედი აღარ აქვთ.

✦ 20 მარტს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო ერმალოზ ლუკასძე დოლიძე და მიხეილ თევდორესძე გორი-შენკო, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით **გადასახლებულნი** იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ.

✦ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საერთო კრების მოწვევა განზრახულია ნაადღგომევს კვირაცხოვლიიბის კვირაში, კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში, ძველი გამგეობის მოქმედება და საბოლოოდ გადასწყვიტოს საკითხი ქართულ-რუსული ლექსიკონის შესახებ.

✦ 20 მარტს ტფ. **ვაჭართა საზოგადოების** წევრთა საერთო კრება მოხდა. კრებაზე სხვათა შორის, თანამდებობის პირთა არჩევნები იყო. არჩეულ იქმნენ: ვაჭართა მოურავად ა. ნ. მილოვი, მის ამხანაგებად—ვ. ს. ეგიაზაროვი და გ. ს. კაფიევი, მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის სამზრუნველოს წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ნ. მილოვი (თავჯდომარე), ა. ენფიენჯიანცი და ი. ჰაიდამაკინი.

✦ რკინის გზის მოსამსახურებმა მიიღეს შემნახველ-გამსესხებელი კასის 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და საბჭოს მოქმედების ანგარიში. ანგარიშთან ერთად მათ დაურიგდათ ასარჩევი ბიულეტენები 15 დელეგატის ასარჩევად მომავალ კრებისთვის, სადაც საბჭოს ახალი წევრები იქნება არჩეული.

✦ როგორც გადმოგვცეს, ს. კაკაბაძეს თხოვნა შეუტანია ტფ. სათ. აზ. გიმ. პედაგოგიურ საბჭოში, რათა იგი განთავისუფლდეს ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობიდან.

✦ შაბათს სახაზინო თეატრში წაკითხულ იქნა ლექციები „სიყვარული ახალი ლიტერატურაში“, რომელმაც ბევრი ხალხი მიიზიდა. ლექტორები, თუმცა საინტერესოდ შეეხენ ამ საკითხს, მაგრამ ცოტა დროს გამო ყოველ მხრივ და გრცლად ეს საჭირბოროტო სქესობრივი საკითხი ვერ გამოარკვიეს. დაწვრილებითი ანგარიშს მკითხველი ნახავს ხვალინდელ ნომერში.

✦ პოლიციამ ტფილისში შეიპყრო: 19 მარტს 125 უპასპორტო, ხოლო 20 მარტს—39.

✦ მ. კავსაძე თავისი ხოროთი მიემგზავრება 25 მარტს გორსა და 27-ს—ქუთაისს, სადაც გამართავს კონცერტებს.

✦ მეექვსე კვირაში ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნება გიორგი ფოცხოველის ახალი ორიგინალური დრამა „ცხოვრების გარშემო“.

✦ კვირას ტფილისში ოთხ ალაგას იყო ქართული წარმოდგენა: ქართულ თეატრში, ძმ. ზუბ. სახალხო სახლში, ავლაბრის თეატრში და ავჭალის აუდიტორიაში. ყველგან თეატრის დარბაზი სავსე იყო ხალხით.

### ქუთაისი

✦ 15 მარტს, დილის 10 საათზე ქუთაისის ციხის მეორე განყოფილების პატიმარი ნიკიფორე ბუალავა ციხის ზედამხედველ ჩერნენკოსთან ერთად ციხიდან განყოფილებაში ბრუნდებოდა. როდესაც გაუსწორდნენ ლეჟავას მაღაზიას, ბუალავა უცებ გაიქცა ქვევით ჰოვჰავაძის ქუჩით. გაქცეულს ჩერნენკო და ჩაფარი თურმანიძე დაედევნენ. უკანასკნელი მოეწია გაქცეულს და შეიპყრო, მაგრამ ბუალავა შეებრძოლა და ხელიდან გაუსხლტა გაქცეულს ჩერნენკომ რევოლვერი ესროლა და ორის ტყვიით მძიმედ დასჭრა. დაჭრილი ციხის სამკურნალოში მოათავსეს.

✦ **ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. ჩიქოვანი** ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე კაცია. 42 წლისაა. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის გათავების შემდეგ გადავიდა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტი, სადაც იურიდიული ფაკულტეტში გაათავა. ამის შემდეგ საზღვარ-გარედ იყო, სადაც საუკეთესო პროფესორთა ლექციებს ისმენდა. კავკასიაში დაბრუნების შემდეგ ტფილისში ვექილობას მიჰყო ხელი და აქედან ახალბაიაზეთის მაზრის ხარჯის ამკრებ ინსპექტორად წავიდა. იქიდან ქუთაისში გადმოვიდა ამავ ადგილზე. ბ-ნი ჩიქოვანი ცნობილია ქართულ-რუსულ ლიტერატურაში როგორც პუბლიცისტი, პოეტი და დრამატურგი.

**დღევანდელ ნომერთან ხელის-მომწერთ ურიგდებათ „სორაპნის“ ამხანაგობის მიერ გამოცემულ მეექვსე და მეშვიდე წიგნის შინაარსი „დრამები და კომედიები“, ვა'ლო აბაშიძის რედაქციით.**

# ორიოდე სიტყვა

## თელავის არჩევნების გამო

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ჩრდილოელს ბატონებს „ამშვენებს“ სხვათა-შორის, ერთი კომიკურ-ტრაგიკული თვისება. რაც უნდა დიდი სისულელე ჩაიდინონ, რაც უნდა დიდი ჭირი დაატყდეთ თავზე, სულ გაიძახიან: „ნიჩეგო“. ეს თვისება რუსებისა აღნიშნა წარსულში ბისმარკმა, რომელმაც, პეტერბურგში ყოფნის დროს ელჩად, კარგად შეისწავლა რუსთა ხასიათი. ამ „ნიჩეგოს“ წყალობით, სხვათა შორის, ახლანდელი რუსეთი განიცდის იმისთანა მდგომარეობას, რომ კარგი არაფერი, „ნიჩეგო“, არ აბადია, და სამაგიეროდ ყოველი ცუდით ყელამდის სავსეა.

მოგეხსენებათ ისიც, რომ ქართველები რუსიფიკაციისაკენ ისე მიისწრაფვიან, როგორც კოხტა ქალი პარიჟის მოდებისაკენ. ამ მისწრაფების წყალობით ჩვენც გადმოგვედო „ნიჩეგო“, რის გამოც მაგდენ არაფრად ვაგდებთ არც ტერიტორიის დაკარგვას, არც სკოლისა და ეკლესიის გადაგვარებასა, არც სხვა უფლების ხელიდან გამოცლასა და წამ და უწუმ გავიძახით: არაფერიაო. ამითი ჩვენ გულს თითქო ვიკეთებთ; მაგრამ საქმეს კი ვიფუჭებთ და უნუგეშო მომავალს ვიმზადებთ.

ეს რუსებისაგან შეთვისებული ჩვეულება უკანასკნელს ჟამს გამოიჩინეს ზოგიერთა ქართველმა კალმოსნებმაც კი და მათ შორის, შავის ზღვის პირად ახლად დაარსებულმა წევრმა ქართულის პრესისამ, ბათუმის მოამბედ წოდებულმა.

როგორც უკვე უწყით, წარსულს თვეში ქალაქს თელავში სამოქალაქო არჩევნები მოხდა. ყველამ იცის, რომ თელავი იყო სატახტო ქალაქი კახეთის სამეფოსი და ახლაც მასში დიდს უმრავლესობას მცხოვრებლებისას ქართველობა შეადგენს. ვინ მოიფიქრებდა, თუ თელავის საბჭოში არც ერთი ქართველი არ იქნებოდა ამორჩეული? არც ერთი ძე და შვილი არ ეღირსებოდა ხმოსნის ადგილს? მაგრამ მოხდა მოულოდნელი, დაუჯერებელი ამბავი: საბჭოს წევრებად ამორჩეულ იქმნენ მარტო სომხები, მხოლოდ **ისინი** ეღირსნენ ხმოსნობასა. ქართველებს კი, თვითონ იმათაც, ვინც სავსებით შეეფერებოდნენ ამ თანამდებობას განვითარებით, გამოცდილებით და საზოგადო საქმის ერთგულობითა, სულ ყველას შავი კენჭები მიაყარეს.

წინააღმდეგ თავისი სუსტი ნაციონალიზმისა, ქართველობა ახმაურდა. მაგრამ ეს უბრალო ახმაურებაც კი ზოგიერთა ჩვენებურმა კალმოსნებმა იუცხოვეს და ასეთი მსჯელობა წამოაყენეს: რას აყაყანდით, ბატონებო, რა მოხდა საიმისო თელავის ქალაქში? სრულიად არაფერიო. ორიოდე ქართველი, თბილის ადგილის მოტრფიალე, ამ სითბოს, ამ სიამოვნებას მოაკლდა, და განა ეს ღირს ლაპარაკადაო? რა შუაშია ან ქართველთა და ან სომხთა ნაციონალიზმი იქ, სადაც მხოლოდ ორიოდე მქლე ადგილი არ ეღირსა ერთს ძესა და ერთს შვილსა და მათ ნაცვლად ამ ადგილებზე დამკვიდრდნენ იანცებიო?..

მე მგონია, რომ სწორედ ასეთს ინტერნაციონალისტურს ინდიფერენტობას მოელოდნენ ჩვენებისაგან თელაველი სომხები და ამიტომაც თამამად და გაბედულად ჩაიდინეს თავისი ულტრანაციონალური, შოვინისტური აქტი, —აქტი, რომელმაც გადააჭარბა ერთის გაუმაძღარის მხეცის ოინსაც. ამ მხეცმა, როგორც ვიცით ცნობილი იგავ-არაკიდან, საერთო ნანადირევის დიდი წილი თვითონ დაიმარჩუნა და სხვა თავისს მონადირე ამხანაგებს მცირეოდენი რამე უწყალობა. თელაველმა იანცებმა კი მთელი ნანადირევი მარტო თვითონ დაისაკუთრეს, ყველა შვილები სრულიად ცარიელზე დასვეს, ერთი ნამცეციც არ უწილეს,— შორიდან გვიცქირეთ და თვალები ბრიცეთო.

ამ საქციელში საიმისოს არაფერს დაინახავს მხოლოდ ის ქართველი, რომელიც ძალად, განზრახ, ორივე თვალის იხუჭავს და ორივე ყურს იყრუებს. რად ჩადიან ამასა? იმათ, რომ ბავშვურად კანკალებენ, კურდღლურად ძაგძაგებენ — ნაციონალისტი არავინ დაგიძახოსო. და ძაღლის კუდიც უმთავრესად სწორედ აქ გახლავთ დამარხული. არა ჰგვანებიან ჩვენნი „მამაცნი“ ბებელს, გერმანელს სოციალ-დემოკრატების ბელადსა, რომელმაც რეიხსტაგში რიხიანად წარმოსთქვა: „ჩვენს ქვეყანას რომ მტერი მოადგეს, ჩვენ, სოციალ დემოკრატები, ყველაზე წინ დავუხვდებითო“. ბებელმა ამითი ყველა მოავეს გერმანიისას აცნობა: ნურავინ გაჰბედავს გერმანიის მტრობას იმ იმედით, ვითომ სოციალ-დემოკრატები ანტი-ნაციონალისტები იყვნენო, თორემ როცა უფრო მოსტყუვდებიან, რადგან მედგარს წინააღმდეგობას უფრო ჩვენ გავუწევთო. როცა ჩვენებური ინტერნაციონალები და ამითი არაფრად აგდებენ თელავის ოინსა, რას სჩადიან ისინი? აქეზებენ ჩვენს მეზობლებს: საქართველოს სხვა ადგილებშიაც ეს ოინი ჩაიდინეთ, და ფიქრი ნურაფრისა გექნებათო.

სამაგისო არაფერი მომხდარაო, ითქვა. ჩავუკვირდეთ ცოტა ხნობით ფაქტის შინაგანსა:

**ჯერ** ერთი ესა: ნუ თუ მნიშვნელობას მოკლებულია თვითონ ის ფაქტი, რომ თელავში რამდენიმე განვითარებული, მაგრამ ღარიბი, ქართველი, უკუღმართი არჩევნების გამო, მოაკლდა ცხოვრების და საქვეყნო მოქმედების სახსარსა და ეს სახსარი მთლად ხელში იგდეს იმათ, ვისაც უიმისოდაც უზრუნველი ცხოვრება აქვთ... და განა ეს გამარტოვებული, შემთხვევითი ფაქტია? განა ყოველს ნაბიჯზე არა ვხედავთ, რომ ქართველობას ხელს უკრავენ—ღირსეული ღონისძიებით მოიპოვონ ცხოვრებისა და მოქმედების სახსარი? ქართველების ცარიელზე დასმა, ყოველი ასპარეზიდან განდევნა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ ანტიქართულს პროცესს აწარმოებენ ერთის მხრივ ჩრდილოელი ერთმორწმუნენი, მეორეს მხრივ—ჩვენი სამხრეთელი მეზობელნი, რაც ისე ცხადლ-ჰყვეს ბრმათათვისაც კი თელავური ოინით.—

შევხედოთ საგანს მეორე მხრიდანაც.

ყოველი საბჭო ამა თუ იმ ქალაქისა, არა მარტო სამსახურის ადგილია, არამედ სკოლაც, სკოლა საკულტურო და საპოლიტიკურო, რომელიც ყველა თავისს მონაწილეს წვრთნის თვითმმართველობის სფეროში და ამასთან ამზადებს უფრო ფართო, მაღალი პოლიტიკური ასპარეზისათვის. საბჭოს ხმოსნები უკვირდებიან ცხოვრების მიმდინარეობას, მისს ავსა და კარგსა, გაითვალისწუნებენ ყოველს ნაკლებულობას და მოთხოვნილებას საზოგადოებისას, იკვლევენ შესაბამ ღონისძიებას ამა, თუ იმ ნაკლის წინაღმდეგ და აუკეთესოებენ ამომრჩეველთა მდგომარეობასა. ამასთან ხმოსნები თვითონაც პირადად უკეთესდებიან, რადგანაც ავარჯიშებენ გონებასაც, გულსაც და უნარის ნიჭსაცა. ხმოსანი, რომელმაც კაი ხნის განმავლობაში სვინდისიერად იმუშავა საბჭოში და ემსახურა ქვეყნის სიკეთეს, ბევრით სრული ინდივიდუმია, ბევრით უკეთესი პიროვნებაა, ვიდრე იყო წინად, საბჭოში შესვლამდინ და საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობამდის. იგი განკერძოებული, განმარტოვებული არსება კი არ არის, არამედ შეადგენს ორგანიულს ნაწილს საზოგადოებისას, საპატიო პიროვნებას, და, ასე გაშინჯეთ, ბევრად მეტსა სცოცხლობს, პროფესორი დოღელის გამოკვლევით, ვიდრე რომელიმე განდეგილი, ცალკე გასკუპებული, ეგოისტი, რომელსაც თავისი ინტერესის გარეშე არა ფერი სწამს, რომელიც მხოლოდ თავისს „მეს“ ემსახურება, და ამავე დროს თვითონვე გულის სიღრმეში ცხადად გრძნობს, რომ იგი პირუტყვს არაფრითა სჯობიან. ასეთი ჩინებული ზედმოქმედება აქვს საზოგადო მოღვაწეობას ყოველს რიგიანს ადამიანზე. ამის გამო, როდესაც ამ მოღვაწეობის კარს უსმობენ ქართველებს, ამითი აშორებენ მათ ჩინებულს სკოლას, შეუძლებლად ჰხდიან მათს განვითარებას, წინსვლას და მომზადებას მაღალის საფეხურის მოღვაწეობისთვის.

ეს აზრი ღრმად ჰქონდა გათვალისწუნებული განსვენებულს სომხთა კათალიკოსს ხრიმიანსა, და სწორედ ამის გამო მიანიჭა მან უდიდესი სიკეთე თავსს სამწყსოს იმითი, რომ საარჩევნო უფლება დაუსაკუთრა ყოველს სრულის-წლოვანს სომეხსა, კაცსაც და ქალსაც, თანასწორად. ამ ბრძნული განკარგულებით მან შექმნა თავისის სასულიერო შვილთათვის ერთგვარი სახალხო უნივერსიტეტი საყოველთაო განვითარებისა, გამოცდილებისა, ფხიზელი ცხოვრებისა და შეძლება მისცა თავისს საყვარელს სამწყსოს მოემზადოს, განიწვრთნოს და მარჯვედ ისარგებლოს საყოველთაო საპოლიტიკო არჩევნებით.

სომხები ავარჯიშებენ თავისს საარჩევნო და სათვითმართებლო ნიჭს საეკლესიო სფეროშიაც და სამოქალაქოშიაც. ქართველები მთლად მოკლებულნი არიან ამ ნიჭის ვარჯიშობას პირველს სფეროში და დიდ შევიწროებას განიცდიან მეორეში. რის გამო ხსენებული ნიჭი, დიდად საჭირო ერის წარმოებებისათვის, არ უვითარდება, ეხშობათ. ამ უკანასკნელის შევიწროების მიზეზი ორია: პირველად დიდი ცენზი, რომელიც ღარიბ ქართველობას ართმევს სარჩევნო უფლებასა, და მეორედ სიხარბე ჩვენის მოძმე სომხებისა, რომელთაც ჩვენთვის შურთ ის მცირეოდენი ადგილიც, რომელსაც ბურჟუაზიული კანონი შესაძლებლად ჰხდის ქართველთათვის.

კიდევ ჰოო, ჰოო, რომ ქართველებს ემართლებოდნენ, ესე იგი, რომ ქართველებს წარსულში თავისი განწყობილება სომხებთან ვიწრო ნაციონალურს ნიადაგზე ეწარმოებინოთ. მაგრამ უტყუარი ისტორია სრულიად სხვას ჰლაღადებს. იგი ყველას არწმუნებს, რომ ქართველობა არას დროს არ ყოფილა გამსჭვალული ნაციონალური ვიწრო ეგოიზმით, შოვინიზმით. ჩვენს სამეფოში, წარსულს საუკუნოებში, ყველა არ ქართველნი გათანასწორებული იყვნენ ქართველებთან ყოველი უფლებითი, არავითარ შევიწროებას არ განიცდიდნენ არც სარწმუნოების და არც ენის შესახებ და ყოველს თანამდებობაზე ისევე მწესდებოდნენ, როგორც თვით ქართველები.

ეხლაც ქართველობას არც სომხებისათვის, არც რუსებისათვის, არც თათრებისათვის და არც სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურს. ითხოვს მხოლოდ, რომ მას მიუწყონ იმავე საწყაულით რომლითაც იგი უწყავდა სხვებს კი მეტადრე თავისს სამხრეთელს მეზობლებსა და არ ისარგებლონ უდიერი ეგოიზმით, შოვინისტურად იმ კრიზისით რომელსაც ეხლა განიცდის საქართველო. წინააღმდეგ შემთხვევაში სომხები იქმნებიან დამნაშავენი? თუ ქართველობა შემდეგში ხელს აიღებს თავისს ტრადიციულს ხათრიანობაზე და მიუწყავს მათ იმავე საწყაულითა რომელსაც ისე კადნიერად ხმარობენ იგინი ახლა თავისს მოძმეების შესახებ.—

**იაკობ გოგებაშვილი.**

# სასამართლო

## უბედურება ვერის დაღმართზე.

(შემდეგი)

**განხმართლების მეორე დღე.** საღამოს კრების შემდეგ 6 ს. 45 წამ. ბატაილმა თავმჯდომარეს განუცხადა, რომ ჩვენების მიცემა ხალხის დაუსწრებლად მსურსო. თავმჯდომარე დაჰპირდა, ამას ცალკე განვიხილავთო.

ექსპერტმა—ტეხნოლოგმა ძიუბანოვმა სთხოვა სასამართლოს მოწმე პოლიციელი სკვარცოვი უკან დაიბარე, რომ რამდენიმე კითხვა მივცეთო. თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა.

მოწმე ვიქტორ თედოშვილმა სთქვა, უბედურების დღეს 3 საათამდის ვიმუშავეთ მე და ჩემმა ამხანაგმაო. შემდეგ სხვებმა შეგვცვალეს. თედოშვილი ქვიშის დამყრელი და ლიანდაგის მწმენდავი ყოფილა. მას და მის ამხანაგს ქვიშა ზემელის აფთიაქიდან მოყოლიბული კურცხალიას შეშის საწყობამდის უნდა ეყარათ, ლიანდაგი კი კიროჩნი ქუჩამდის უნდა ეწმინდათ. ამ მუშებისათვის არავითარი ინსტრუქცია არ მიუციათ. თედოშვილისათვის ქვიშის დაყრის წესი, მის წინა მოადგილეს, საქოვს უსწავლებია. მუშაობას თვალ-ყურს ორი კაცი ადევნებდა: რატიანი და შადინოვი. ესენი დღეში 2—8-ჯერ მოდიოდნენ და ლიანდაგს სინჯავდნენ. თედოშვილს რამდენჯერმე უთქვამს შადინოვისათვის, ორი კაცი ამ საქმეზე საკმარისი არ არისო. რატიანისა და შადინოვის ჩვენებით, უბედურების შემდეგ, ვერის დაღმართზე 8 კაცი მუშაობდა. ბატაილმა ხთქვა, შადინოვს ჩემთვის არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ ორი კაცი საკმარისი არ არისო.

ბატაილის დამცველმა ნაფიცმა ვექილმა გრუზენბერგმა თედოშვილსა ჰკითხა, რამდენი კაცი იყო მთელ თქვენ რაზმშიო. თედოშვილმა უპასუხა, არ ვიციო.

გრუზენბერგმა იგივე კითხვა სხვანაირად მისცა, მაგრამ თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა: მოწმემ გადაჭრილი პასუხი მოგცათ და მეტი კითხვები საჭირო აღარ არისო.

მოწმე მელიქსედექ რატიანმა განაცხადა, რომ იგი 1906—1910 წ. მსახურებდა. მის დროს ვერის დაღ-

ტერესო საგანზე კამათობენ, სტენოგრაფი ჩასწერს თვითეულ სიტყვას მსჯელობისას, მწერალი კი თავის უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს კამათის უმთავრეს ძარღვს, მის დამახასიათებელ ნაწილებს. ფოტოგრაფია უძლურია სავსებით გადაიღოს სახე ადამიანისა; იგი გამოჰხატავს მხოლოდ ერთ მომენტს შემთხვევითი გამომეტყველებას ორიგინალისას, პორტრეტისტი კი ეცდება შეამჩნიოს ზოგადი, გაბატონებული გამომეტყველება და სრული სახე ორიგინალისა გადმოქვცეს სურათზე.

გარდა ამისა ხელოვნება ვალდებულია მშვენიერ ფორმებში ჩამოასხას იდეალური ქვეყანა; განასხიეროს შემოქმედებითი რეალიზაცია კაცობრიობის იდეალისა. ყოველ ფხიზელმა მხატვარმა უნდა განავითაროს თვისი ნიჭი მეცნიერების შეძენით, შეისისლხორცოს მშობელი ერის მხიარულება თუ ტანჯვავაება და შემდეგ შეჰქმნას და ნათელი მოჰფინოს ისტორიულ ეკლიან გზას თვისი ერისას. დღევანდელი ხელოვნება მიისწრაფვის იდეათა მშვენიერ ფორმაში გამოსახვისადმი, იგი ცოცხალ სახეთა დაწყობილ შეერთებით, აღვიძებს ჩვენში გარკვეულ აზრებს, ჰუმანიურ გრძნობათა და უსაზღვრო და წრფელ სიყვარულს ადამიანისა და მშობელ ერისადმი.

ფილოსოფიურ და განსაკუთრებით რელიგიოზურ მოძღვრებათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხელოვნების მიმართულებასა და დამახასიათებელ თვისებათა—შემუშავებაში. ძველი, ანტიური კულტი მშვენიერ სახეთა განსაკუთრებით ადამიანთა, საშუალო საუკუნეში რელიგიოზურ იდეათა კულტად შეიცვალა. ტენის აზრით, საშუალო საუკუნეთა ხელოვნება გამოხატავს არა არსებათ, არამედ იდეებს, და საზოგადოებაც ხელოვნების ნაწარმოებში ეძიებს სიმბოლოებს, რომელნიც მოუთხრობენ იდეებზე არა უმშვენიერეს სახეთა შესახებ. რომ რელიგიოზურ მოძღვრებათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხელოვნებაზე, ამას სხვათა შორის, ძველ ხელოვნებათა ისტორიის მოკლე განხილვაც დაგვანახვებს.

უძველესი ხელოვნება, რომლის შესახებაც ისტორიულ ცნობებს ჩვენამდის მოუღწევიათ, არის ეგვიპტის ხელოვნება. ისტორიულნი ცნობანი ეგვიპტის ხელოვნების შესახებ ქრისტეს დაბადების წინედ 3000 წლამდე აღწევენ. ამ დროს ეგვიპტეს უკვე საკმარისად განვითარებული პოლიტიკური წეს-წყობილება და ადათ-ჩვეულება ჰქონდა. ეგვიპტის ხელოვნებამ ხანგრძლივ და თანდათანობით განვითარების შემდეგ ისეთ გარკვეულ მიმართულებაში ჩამოყალიბდა, რომ იგი მიმართულება კანონად გარდაიქცა შემდეგი დროისთვის ათასი წლობის განმავლობაში. ეგვიპტელების რელიგიოზურ კულტში ღმერთები, ე. ი. ბუნების სტიქიონები, არეულნი არიან ადამიანების მზგავსად შექმნილ გმირებთან; როგორც რომში თაყვანსა სცემდნენ არა მარტო ღმერთებს, არამედ მითიურ მეფეებსაც, საბერძნეთში კი დიდებულ გმირებს, როგორც მაგალითად ჰერაკლს, ისე ეგვიპტეში ნეფთან, ნეტთან, სეფეკთან, პოლიტთან, პირველ ყოფილ მსოფლიოს ელემენტებთან, სულსა და მატერიასთან, დროსა და სივრცესთან ერთად იყვნენ გაღმერთებული გმირებიც: ოზიროსი, დამაარსებელი ეგვიპტისა, მისი ცოლი იზიდა, ხვნა-თესვის შემომღებელი და სხ. გმირების სახელობაზე ეგვიპტელები მრავლად აშენებდნენ ტაძრებსა და საკურთხევლებს, რომლებზედაც სწირავდნენ მსხვერპლსა და აკმევდნენ საკმეველს. გარდა ამისა ეგვიპტელები ხშირად უფრო მეტი სასოებით ემსახურებოდნენ თვის ნახევრად ღმერთებს, ვიდრე ღმერთებს, როგორც ჩვენში ხალხი ხშირად მეტის მოწიწებით ეპყრობა თვის საყვარელ და მფარველ წმინდანებს, ვიდრე ღვთაებას. რაც უფრო ვითარდებოდა ეგვიპტის შინაგანი წეს-წყობილება და მრავლდებოდა მისი ჰფლობელობა, აუცილებელი შეიქმნა პირველ ყოფილ, ცის ქვეშ, თუმცა გადმოცემათა მიხედვით, ღვთის მსახურების აღსრულების შეცვლა. დაიბადა საჭიროება ტაძრის აგებისა. და რამდენადაც ისტორიულნი ცნობანი ეგვიპტელთ იმ დროინდელ ტაძრებს შეეხებიან, ყველა ტაძრები თითქმის ერთ გეგმაზე შენდებოდა. ტაძარი გაგრძელებულ პარალელოგრამს წარმოადგენდა და უთმავრესი ფასადით ნილოსისაკენ იყო მიმართული. მაგრამ, მიუხედავად იმისა, ტაძარი კერპთაყვანისმცემელთ, ქრისტეანეთ, მაჰმადიანთ, თუ სხვა სარწმუნოების აღმიარებელთ ეკუთვნის, მასში რაიმე იდეა უნდა გამოსჭვიოდეს და ეს იდეა ხუროთმოძღვრების ნაწარმოების კონცეპციაში უნდა გამოისახოს. იდეა ეგვიპტის ტაძრისა არის იდეა სამგზის (тройнаго) ცისა. ეგვიპტელების წარმოდგენით სამყარო ერთი მეორეში ჩასმულ სამ ქალს წარმოადგენდა. უმთავრესი ღვთაება ეგვიპტელებისა იყო ღმერთი მზისა—რა. ერთი ეგვიპტის მითის გადმოცემით ღმერთი რა ყოველ დღე ნავით გარს უვლის ცას და ტატნობთან ჩამოშვების შემდეგ იგი მიწის ქვეშ მყოფ წყლით კვლავ აღმოსავლეთისაკენ ამოცურდება. იმ წმინდა ნავის სურათი, რომლითაც რა მოგზაურობს, შეადგენდა უმთავრეს საკუთრებას იმ დროის ეგვიპტელთა ტაძრებისას. ერთი სიტყვით, არსებითი იდეა ეგვიპტელ ტაძართა იყო გამოსახვა იმ ზეციური გზისა, რომელზედაც რა თვისი ნავით დანავარდობდა.

**ალ. წერეთელი.**

(დასასრული იქნება).

მართზე ქვიშის დამყრელები ორნი ყოფილან, ლიანდაგის მფხეკავი კი ერთი. ბოლოს ეს ერთი კაციც მოუშორებიათ. როცა რატიანს ალექსანდერისათვის უთქვამს, ორი მუშა არა კმარაო, ალექსანდერს უპასუხნია: მეტი საჭირო არ არისო.

მოწმე რატიანის ჩვენებით აღმოჩნდა, რომ უბედურების დროს, ვერის დაღმართზე ქვიშისათვის ყუთები არა მდგარა, და ქვიშა ისე ყოფილა აქაიქ დაყრილი.

მოწმე შადინოვი რატიანის ნათქვამის პირველ ნახევარს დასთანხმდა, მაგრამ ისიც დაუმატა, უბედურებამდის ორი მუშა კმაროდა, მერე კი 8 დასჭირდაო. როცა თავმჯდომარემ ამის მიზეზი ჰკითხა, შადინოვმა უპასუხა, არ ვიციო.

ბრალდებულთა დამცველის კლანკის თხოვნით თედოშვილი და შადინოვი სასამართლომ პირის-პირ დააყენა, თედოშვილმა თავისი ნათქვამი გაიმეორა.

მოწმე ფანცულაიამ, (რკინის გზათა მემანქანე) სთქვა, უბედურებას დავესწარი, ვაგონი ისეთის სისწრაფით მიდიოდა, რომ საათში 30—40 ვერსს უდრიდაო, თვლები კი არ მოგორავდა, არამედ მისცურავდა. ეს იმაზე ეტყობოდა თვლებ ქვეშ ცეცხლი არა სჩანდაო.

მოწმე გერკენრეიდერმა (ტრამვაის დეპოს მონტიორი) სთქვა, რომ უბედურების დღეს ვაგონი № 47 სრულის წესით და რიგით გავისტუმრეო, და დაწვრილებით ახსნა ვაგონების სამუშაოდ გაშვების წეს-რიგი.

ბრალმდებელის ამხანაგის თხოვნით ამავე მოწმის მიერ წინასწარ გამოძიებაზე მიცემული ჩვენება წაიკითხეს. აღმოჩნდა, რომ ამ მოწმეს წინასწარ გამოძიებაზე უთქვამს. გამოძიებაზე მიცემული ჩვენება წაიკითხეს. დეპოში 5 მონტიორი იყო, ამათგან ბატაილმა ერთი ინსტრუქტორად წაიყვანაო, ეხლა კი მისი სიტყვით 3 მონტიორი გამოდგა. გერკენრეიდერმა განაცხადა, 5 კი არა, მეტი იყო, ზოგს მონტიორს ეძახდნენ, ნამდვილი მონტიორი კი მხოლოდ 3 იყოვო.

ბატაილმა სთქვა, მონტიორების რიცხვი არ შემიმცირებია, მხოლოდ ზოგი მათგანი ლიანდაგზე სამუშაოდ გავიყვანე, სადაც უფრო საჭირონი იყვნენ. ჩემი მოსვლისას ვერის დაღმართზე 4 კაცი იყო, რომლებიც შეცვლით მუშაობდნენ, მათი რიცხვი ისევე დავტოვეო.

ამ დროს მოვიდა დაბარებული პოლიციელი სკვორცოვი, რომელმაც სთქვა, რომ ლიანდაგს 15 ნაბიჯით ვიყავ დაშორებული. იქ სადაც რესტორანი „მონტე კარლოა“ თვლებმა ტრიალი აღარ დაიწყო და ვაგონიც დაცურდაო.

ამის შემდეგ მოწმეთა გამოკითხვა დასრულდა. თავმჯდომარემ იკითხა: გსურთ თუ არა რომელიმე მოწმის ჩვენება წავიკითხოთო.

გრუზენბერგი მოწმე ხატისოვის ჩვენების წაკითხვასა თხოულობს.

კლანკმა სასამართლოს წარუდგინა გვათუას რამდენიმე რაპორტი და ითხოვა, ესენი გადაეცეს გვათუას და ეკითხოს, მის მიერ წარგზავნილები არიან ეს რაპორტები თუ არა, და შემდეგ საქმეს მიეკეროსო. გვათუამ წინა დღით სთქვა, რომ არავითარი რაპორტი არ წარმიდგენიაო.

გვათუამ სთქვა, გუშინ ლაპარაკი მუშების რიცხვზე იყო. ამის შესახებ მე, როგორც უფროსს, რაპორტების წერის ნება არა მქონდა, რაიცა შეეხება კონდუქტორთა და მათ მიერ მოვალეობის დარღვევას ჩემი უფროსებისათვის ყველაფერი უნდა შემეტყობინებინაო.

კლანკმა გვათუას კონტროლიორთა წესი ჰკითხა. გვათუა შეშფოთდა და განაცხადა, რომ წესი იცის, მაგრამ ეხლა ინვალიდია და ყველაფერი არ ახსოვსო.

ამისხსნებულმა ბატაილმა სთქვა: სასამართლომ ყველა მოწმე ვატმანს გამოჰკითხა, თუ ვატმანობამდის რა ხელობაზე იყვნენ. ყველამ უპასუხა, ცხენის ტრამვაის დამტარებლები ვიყავითო. ეს ხალხი ვაგონებსაც იცნობდა, ქუჩებსაც, იცოდა თუ რა იყო თვლების სრიალი და ვატმანებად გამოსადეგი ხალხია. ბელგიაში ცხენის ტრამვაის დამტარებლები ელექტრონის ტრამვაიზე გადავიდნენ, ასევე მოხდა ოდესაში და ტაშკენტშიო.

ამის შემდეგ სასამართლომ წინასწარ გამოძიების ოქმები წაიკითხა. საღამოს 11 ს. და 45 წ. კრება მეორე დღის დილის 10 საათამდის შესწყდა.

**გასამართლების მესამე დღე.** 19 მარტი. თავმჯდომარემ წინასწარ გამოძიებათა ოქმების კითხვა დაასრულა. ერთს ოქმში ნათქვამი იყო, მე-47-ე ვაგონის საქვიშეები ცუდი იყო და ტორმოზები ისეთი არ არის, რომ ვერისა და ციციშვილის დაღმართებზე უბედურების მოხდენას ხელი შეუშალონო.

ბრალმდებელის თანაშემწის ლესნიოვსკის თხოვნით ბატაილის წერილები წაიკითხეს. წერილებს წარსული თარიღი აწერია და ერთი ალექსანდერისადმია დაწერილი, მეორე იზამბერისადმი.

1909 წ. 11 იანვრის რიცხვით, ალექსანდრისადმი მიწერილ წერილში ბატაილი მოძრაობის უფროსობასა და მთელ პასუხის მგებლობას ალექსანდერს აძლევს. იზამბერ 1910 წ. 11 იანვარსა სწერს, რომ ტრამვაის ტეხნიკურ ნაწილის მიღების თანახმა; ალექსანდერი კი იმავე რიცხვით ატყობინებს, რომ მოძრაობის უფროსობას და პასუხის მგებლობას ვკისრულობო. ამ წერილს ფოსტის ბეჭედი ეტყობა რომ იგი 1910 წ. 28 იანვარსაა მიღებული.

როცა იზამბერსა და ალექსანდერს შეეკითხნენ, როდის ჩაიბარეთ ეს თანამდებობანიო. იზამბერმა სთქვა: 1909 წ. აპრილში, ალექსანდერმა კი —1906 წელსაო.

ამის შემდეგ ექსპერტებმა ის დირექტივები ითხოვეს, რომლის მიხედვითაც მათ ექსპერტიზა უნდა მოეხდინათ. სასამართლომ უთხრა, რომ ექსპერტებმა უბედურების მიზეზები უნდა გამოიძიონო. ამის შემდეგ ექსპერტები ცალკე ოთახში გავიდნენ მოსალაპარაკებლად.

(დასასრული იქნება).

# რუსეთ-ჩინეთის დამოკიდებულება

რუსეთ-ჩინეთის უთანხმოებას გარეგნულად თითქოს ბოლო მოეღო. ჩინეთის პასუხმა რუსეთის მთავრობა თითქოს დააკმაყოფილაო. ეს კმაყოფილება მთავრობამ საჯაროდაც კი გამოაცხადა. სულ რამდენიმე დღეც არ გასულა მას შემდეგ, და რუსეთის პრესაში გაისმა ხმა უნდობლობისა. „რეჩ“-მა, მაგალითად, პირდაპირ აღიარა, ჩინეთმა თავის პასუხად მხოლოდ ისა სთქვა, რომ მე ჩემს თავს ვეთანხმებიო. ეჭვები უფრო გაიზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ცნობებს, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთიდან მოდის და რომელთაც აქვე ვბეჭდავთ.

**მანჯურიის მთავრობის მოხსენება.**

15 მარტის თარიღით შეკინიდან იუწყებიან:

„რუსეთის დიპლომატიამ ვერ გასჭრა. რუსეთს თავისი გეგმა სისრულეში მოჰყავს და მანჯურიაში ჯარი შეჰყავს.“

რუსეთის მოქმედების წინააღმდეგ მთავრობა ითხოვს დიპლომატიურ წესით პროტესტის განცხადებას და დასძენს, ევროპიელთა შემოსევისაგან ჩინეთი შესძლებს მშობლიურ კერის დაცვასაო.

**ჩინეთის ჯარის თავმოყრა.**

ხარბინი, 15 მარტი. ჩინეთის მთავრობის მშვიდობიან კილოს მიუხედავად, მანჯურიაში ჩინეთის ჯარი განუწყვეტლივ მიდის.

5 ბატალიონი ქვეითი ჯარისა და ცხენოსანთა 4 პოლკი ტაონფუში ჩავიდა ლიაოიანში და მუკდენში. ახლო მომავალში დაბანაკდება მეოცე საარტილერიო პოლკი, რომლისთვისაც ყაზარმებს აშენებენ. სიშავის მიდამოებში მე-17 ცხენოსანთა პოლკი დაბანაკდება, ლიაოიანში—მეორე ცხენოსანთა პოლკი.

**სესხის დანიშნულება.**

პეკინი, 15 მარტი. სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომელთაც 200 მილიონი ფრანკი ასესხეს, ერთის პირობით: ნასესხი ფული ჩინეთს სამხედრო საჭიროებაზე არ უნდა მოეხმარებინა. რადგანაც ჩინეთს ეს სესხი სამხედრო საქმისთვის გადაუდვია, მესესხენი წინააღმდეგობას უცხადებენ მას.

**ჩინეთის ახალი სესხი.**

ბრუსელი, 15 მარტი. ხმები გავრცელდა, ახლად დანიშნულ ჩინეთის ელჩის დი-კო-შის დანიშნულების ნიადაგი მიამხადოს ჰოლანდიასა და ბელგიაში 200 მილიონიანი სესხის აღებად, რომელიც ჩინეთმა კვლავ ჰსურს აიღოს. დი-კო-შისთან სადარბაზოდ მრავალი ჟურნალისტი მიდის. უკანასკნელთ ს-ტუმართმოყვარეობით იღებს, მაგრამ სესხის თაობაზე საუბარს ერიდება.

**იარაღის შეკვეთა.**

ბრუსელი, 15 მარტი. ბელგიის იარაღის დამზადებელ ქარხანას გერსტალში ჩინეთმა დიდძალი იარაღი შეუკვეთა სულ 3 მილიონ ფრანკისა (100 ფრანკი 37 მ. 50 კ. უდრის). მათ შორის 11,600 „ბრაუნინგის“ რევოლვერი.

**სადგურის განადგურება.**

მუკდენი, 15 მარტი. დღითი დღე ძლიერდება გულისწყრომა იმ ჩინელებისა, რომელთაც წასვლა სურდათ მატარებელში არ უშვებენ. პატარა სადგურზე ჩანჩუნის საზღვართან ჩინელებს სურდათ სამხრეთისაკენ მიმავალ მატარებლით წასულიყვნენ, მაგრამ ნება არ მისცეს; ამით გაბრაზებულებმა სადგურის შენობები მილეწ-მოლეწეს.

იაპონელმა პოლიციელებმა მრავალი დააპატიმრა.

**უცხოელთა შიში.**

ხარბინი, 15 მარტი. ჩინელ ბრბოს მზადებით შეძრწუნებულნი უცხოელნი ეროვნულ დროშებს ამზადებენ. ზოგმა სახლებზე უკვე გამოჰკიდა დროშები.

**მოსამსახურეთა ოჯახების გამგზავრება.**

ხარბინი, 15 მარტი. დამამშვიდებელ ცნობათა მიღების მიუხედავად, მცხოვრებთა შორის შიში კვლავინდებურადაა.

უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ხუთას სამგზავრო ბილეთამდე მიეცა რკინის გზის მოსამსახურეთა ოჯახებს.

**ზაბაიკალის გზაზე.**

ჩიტა, 15 მარტი. რკინის გზის სახელოსნოთა ხელოსნებს და სხვა მოსამსახურეებსაც დასასვენებლად წასვლის ნებართვას არ აძლევენ.

სამგზავრო მატარებლის უფროსმა კონდუქტორებმა დროებით საქონლის მატარებლებზე უნდა იარონ.

**ბლაგოვეშჩენსკში.**

ბლაგოვეშჩენსკი, 15 მარტი. შიშიანობა დღითი დღე ძლიერდება.

ჯარი ყოველ შემთხვევისათვის გამზადებულია.

**გერმანელთა იმედიანობა.**

ბერლინი, 15 მარტი. რუსეთის მოთხოვნილებათა ჩინეთის მიერ აღსრულებას პრესა მშვიდობიანად მიიღებს. პოლიტიკურ წრეებში ეჭვი აქვთ, რომ უთანხმოება საბოლოოდ მოსპობილიყოს. ჩინეთის ჯარის შეიარაღებას და გადაყვან-გადმოყვანას ჩინეთის მთავრობის მშვიდობიანობის მიდრეკილების საწინააღმდეგო ნიშნებად სთვლიან.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბუქარესტი.** გადაწყვეტილია საზღვარ გარედ 6 კომერციული აგენტი დაარსონ.

**ფეცი.** 14 მარტს მშვიდობიანად ჩაიარა. ბენიმტერთა თემმა ტყვე სალდათებს იარაღი აჰყარა და განათავისუფლა. ამბობენ, ამ თემმა მექინესში დიდი ჯარი გაგზავნაო. ჯარი ქალაქს ხიდებს და სულთანად მაღაი-ზმაილს გამოაცხადებსო.

**ბერლინი.** კამათი გარეშე საქმეთა უწყების ხარჯთ-აღრიცხვას შეეხება. სოციალ-დემოკრატმა ორატორმა სთქვა: რუსეთის მოქმედება ფინლიანდიაში მთელ განათლებულ კაცობრიობას აშფოთებს. განათლებული კაცობრიობა სიხარულით შეეხვდება იმ დღეს, როდესაც რუსეთის რეჟიმი დიდი ხნის დამსახურებულ კატასტროფას განიცდის. თავისუფლად მოაზრენი სწერენ, რომ გერმანელი გაზეთები, რომლებიც ებრაელ სარწმუნოებას აღიარებენ, რუსეთში დიდს გასაჭირს განიცდიანო. ცენტრის დეპუტატმა განაცხადა, შარშან ერთ მღვდელს რუსეთში წასვლა უნდოდა, მაგრამ პასპორტის თაობაზე ბევრი აწვალესო. სტატს-სეკრეტარმა კიდერლენ-ვეხტერმა სთქვა: ებრაელთა შესახებ რუსების საპასპორტო კანონს ჩვენ ვერ შევცვლით, მაგრამ გერმანელმა მოგზაურებმა რომ ისეთი პასპორტები იშოვნონ, რომლებსაც რუსეთის მთავრობისადმი მიწერილობას ემსგავსება, მაშინ მოგზაურობა გაუადვილდებათო.

**ტანჟერი.** ფეციდან ამბავი მოვიდა, 11 მარტს ბენიმტერებს და სულთანის ჯარს შეტაკება მოუხდათ. 13 მარტს, სულთანმა პოლკოვნიკს მანჟეს წინადადება მისცა ახალი რაზმის შედგენისა. მანჟენმა ჯერ კი უარი განაცხადა, სულთანის ჯარები მოუმზადებლები არიანო, მაგრამ მერე სულთანის დაჟინებით თხოვნას დაჰყვა და ორ ათეულს უბრძანა 1000 კაცის მოკრთვება და აჯანყებულთა წინააღმდეგ გადაშქრება. სასტიკი ბრძოლა მოხდა. სულთანის ჯარი, რომელსაც დისციპლინა აკლდა, დამარცხდა. 20 კაცი მოუკლეს. 50 დაუჭრეს. ინსტრუქტორები უვნებლად არიან. ამ დამარცხების შემდეგ ბერბერების ხელ-ახლად აჯანყებისა ეშინიანთ.

**სტამბოლი.** ფონ-შლიპენბახის მგზავრი ალბანელი ბიჭას დასხვრიტეს. სასჯელი მთელი მისი ბოლვი და ქალაქის მეცხოველე ჯარი დაესწრო. დღეს ფონ-შლიპენსა მარხავენ. „ტანინი“-ს სიტყვით, ჩერნოგორიაში გაქცეულ ალბანელთა მეთაურს დასაშავლი ეპატია და ოსმალეთში დაბრუნდაო. ამით აიხსნება ის ხმები, ვითომც ახალ-დაწყებულ აჯანყებას მეთაურობსო. ეს ტყუილია.

**გოფი** (ბავარია). სამანუფაქტურო ქარხნების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ამის თაობაზე 21 მარტს 5000 მუშა დაითხოვეს.

**მადრიდი.** მინისტრთა მთელმა საბჭომ სამსახურიდან გადადგომა ითხოვა.

**ბუქარესტი.** რუმინიის სენატორმა გატტარიამ სტამბოლის პატრიარქს მაკედონიის რუმინელების თხოვნა გადასცა. რუმინელები თხოულობენ, ისეთი ეპისკოპოსი დაგვინიშნეთ, რომელმაც ჩვენი ენა იცოდეს, და ნება მოგვეცით მღვდლებმა რუმინულ ენაზე სწირონო. თხოვნა სინოდს გადაეცა.

**მადრიდი.** პალატაში რაკი ფერერის საქმე აღიძრა, სამინისტრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. სამხედრო წრეებში უკმაყოფილონი არიან, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა რესპუბლიკანელებისაგან თავი საკმაოდ ვერ დაიცვაო. ხმებია, რომ რაკი მინისტრები ფერერის საქმეში ვერ შეთანხმდნენ, გადასწყვიტეს თანამდებობას თავი დაანებონ.

**მადრიდი.** პრეზიდენტმა ცნობა წაიკითხა, კაბინეტი გადადგაო. ამის შემდეგ კრება დაიხურა. რესპუბლიკანელები ყვიროდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკას და სამოქალაქო მთავრობას“. მონარქისტები მეფისა და ჯარის გამარჯვებასა ჰყვიროდნენ. კაბინეტის გადადგომამ საზოგადოდ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, იმიტომ რომ გადადგომა სწორედ მაშინ მოხდა, როცა განაღდეხსმა რეფორმების შემოღება დაიწყო. შეშფოთებია განაღდეხასს ჩააბარებენ ახალ კომიტეტის შედგენას.

**სტამბოლი.** სახელმწიფო მონოპოლიის თამბაქოს ქარხნების მუშები გაიფიცნენ.

**ურმია.** რუსის საქონლის წინააღმდეგ გამოცხადებული ბოიკოტი ძლიერდება; ზოგიერთ გაზეთებმა რუსეთში შაქრის ყიდვა შეაჩერეს.

**ფ რ ა ნ ც ი ა.**

**განოვერი.** სამხედრო ავიატორები 4 საათსა და 32 წუთზე აფრინდნენ და ბრაუნვიგს 5 საათსა და 12 წუთზე მიფრინდნენ.

**რ უ ს ე თ ი**

**კიევი.** სენატორმა ნეიდგარდტმა აღმოაჩინა რომ აქციზის გაყვანაში ბევრს უკანონოდ უმოქმედია.

**სმოლენსკი** ერთი სათის განმავლობაში დიდი წვიმა და ელვა-ქუხილი იყო.

**ოდესა.** მე-15-ე საარტილერიო ბრიგადის საწყობიდან 25 რევოლვერი გაიტაცეს.

**პეტერბურგი.** საზღვაო მინისტრს გრიგოროვიჩის უმოწყალესად ებრძანა სახელმწიფო საბჭოს წევრად ყოფნა.

**მოსკოვი.** დღეს არჩევნები იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრის გოლოვინის მოადგილისა. არჩევნების შემდეგი ხვალ გამოირკვევა.

**კიევი.** დნეპრზე ყინული დადნა, 16 გრადუსი სითბოა.

**ლოძი.** ძმათა მეტრიკოვების ბამბის ქარხანა დაიწვა. ზარალი 100.000 მ.

# თეატრი და ხელოვნება

დღეს სამშაბათს ქ. გორში ადგილობრივ კლუბის დარბაზში ტფილისის დასის მსახიობნი ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოადგენენ თანამედროვე პიესას „ძალა აღმართსა ხნავს“. მონაწილეობენ ქ-ნი კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, შოთაძე. ბ-ნი გუნია, შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, ციცქიშვილი და სხვ.

# განცხადებანი


**პრემია** ამ გაზეთის ყველა მკითხველს უფასოდ ვუგზავნით 25 მეტალ საინტერესო ნივთს, ჩვენ მხოლოდ გასაგზავნ და გასახვევის ფასად 90 კ. ვიღებთ. დღესაც გამოგვიგზავნეთ ღია წერილით ქვენის სწორე ადრესით. ადრესი: Лодзь 172 почт ящикъ 367. Метцль. 20982 (5—1163—3)

● მაქვს პატივი გაცნობოთ, ●
ქალაქ ტფილისში, კიროჩნი ქუჩა, N 21, ტელეფონი N 925.
მაქვს ავეჯით მოწყობილი ნომრები,
**ოტელ-იმპერიალი**
ნომრები არის ახალი ავეჯით მოწყობილი და ელექტრონით განათებული,
და საგრძნობელი სისუფთავით შენახული. მოსამსახურენი ზრდილობიანნი. ახლოს აქვს სასტუმროს ტრამვაის სადგომი, საავადმყოფო, აფთიაქი, ფოსტა და ყოველივე სავაჭრო დაწესებულება.
ნომრები: 1 მანეთიდან 3 მ 50 კაპეიკამდის.
მობრძანდებით და პირადად მოგელაპარაკებით, დაგეთმობათ დიდის შეღავათით. (10—1113—10)

**ახლად გამოგონილი** წყლის და ცეცხლის გამძლე წებო.
„3 3 3“
აკერებს ფეხსამოსს უმაფოდ; ბეწვის კალმით აკოწიწებს: ფაიფურს, მარმარილოს, ძვალს, რქას, მინას, ხეს, ტყავს, თიხას, რეზინს, ლვედს („რემენი“) ქვასა და სხვა. პატარა შუშა 35 კაპეიკად. მასრებით—15 კ. აგრეთვე სხვა ოჯახში გამოსადეგი გამოგონებანი. **მარჯვე აგენტების საჭიროა.** კვირაობით იყიდება იარმუკაზე (შემოფარგლულ მოედანზე).
ამიერ და იმიერ კავკასიის ერთადერთი წარმომადგენელი ანნა ალავერდოვა Тифлисъ, Ѳоминой пер. № 6). (1—1163—1)



■ ქ ვ ე ს ს ი ს ■
ნაცადი საბოსტნე, ხაბალჩო, და ყვავილთა
**თესლეულობა**
უმაღლესის ხარისხისა.
პრეისკურანტები უფასოდ.
ქვესსი და ამხ., ტფილისი, მიხეილის ქუჩა. (0—1169—1)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
**ჭრა-კერვის**
● წ ი გ ნ ი ●
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.
ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ. (100—1140—23)

= **თესლეულობა** =
თ. კიღმარიშვილი და ამხ. ქუთაისში
იყიდება: იონჯისა, სამყურისა, კოინდრისა, **დაფნის თესლისა** გირვანქა 60 კ., ეკლის ხისა, ბეოლის და ყოველგვარი ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა **თესლეულობას.** ნერგები: ნამყენი ხეხილებისა, ეკლის ხის, **დაფნისა** და ბაღის სხვა და სხვა ვარდისა. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. (30—1104 11)

**გაფრთხილება**
ვინც იტანჯება
ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, სისხლნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.
გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის **სპერმინის** მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის **სპერმინ-პელის** რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის **სპერმინის** მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება **სპერმინის** სიკარგეზე, ჩვენ **სპერმინზე** ნათქვამი, რომელსაც ეწოდება **„სპერმინ-პელა“** ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უძვირო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ **სპერმინ-პელისა** და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე ბროშურები და ლიტერატურა. ✦
органотерапевтическій институтъ. **профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.**
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. Ѳ., 7 лин. 18.
**აფთიაქებში და მაღაზიებში** (?)



**ა ვ ა ლ ო მ ყ ო ფ ე ბ ს**
(Метцль и К-о. № 1229.) (8—1015—6)